

## სამართლიანობა\*

### ვილჰელმ ზაუერი

#### 8. სამართლიანობა, როგორც ყოვლისმომცველი სათნობა და მისგან გამომდინარე ფასეულობები

პლატონის ჭეშმარიტად ფილოსოფიურმა განზოგადების ტენდენციამ სამართლიანობა დააყენა თავისი ოთხი, სხვა დაქვემდებარებული სათნოების სათავეში; სამართლიანობის გარდა, მან დაასახელა სიმამაცე, სიბრძნე (ჭეშმარიტება, წინდახედულობა), ზომიერება (თვითკონტროლი, სიწმინდე, ჰარმონია) – ცალკეული სათნოებები, რომლებსაც შემდგომში მიეცა სხვადასხვა განმარტება. რამდენადაც არ უნდა ვამართლებდეთ პლატონის სამართლიანობის განდიდებას, რომელშიც ღვთაებაც ვლინდება და რომელიც საფუძველს ქმნის მისი იდეალური სახელმწიფოსთვის, ჩვენ ვერ გავამართლებთ მოგვიანებით განვითარებულ აზრს, რომ სამართლიანობა არის ყოვლისმომცველი სათნობა, რომელშიც შერწყმულია ყველა ცალკეული სათნობა. გვიანდელი სამართლის ფილოსოფიაში წარმოდგენილი ეს შეხედულება<sup>1</sup> აიგივებს სამართლიანობას საერთოდაც ჰარმონიასთან და გარდა ამისა – წესრიგთან, როგორც ასეთთან, და ვერ ხედავს, რომ სამართლიანობას ასევე აქვს განსაკუთრებული ღირებულება, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სათნოების სხვა ფასეულობებს (მოყვასის სიყვარული, ჭეშმარიტება).

\* დასაწყისი იხილეთ ჟურნალის I, II და III ნომერში.

1. Del Vecchio, Die Gerechtigkeit 1950 § 3.

1a) ალბათ, პლატონის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მისვლა შესაძლებელია განმარტების მეშვეობით, რომ მისთვის სამართლიანობა, რომელსაც ის შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ სახელმწიფოში, არის პატიოსნების, სამართლიანობის ცნობიერებისა და კანონიერი ქცევის სინონიმი. ამ ყოვლისმომცველი ხასიათის გამო, ის ასევე მოიცავს საერთო სიკეთეს (ანუ ელინური შეხედულებისთვის: სახელმწიფო სიკეთე). სახელმწიფო ცხოვრებაში ყოველი თანამდებობა პასუხისმგებელია მის შემდგომ, უფრო მაღალ თანამდებობასთან; სახელმწიფოს უმაღლესი მეთაური (მეფე) პირდაპირ ექვემდებარება სიკეთის იდეას, რომელიც, ამ შეხედულების მიხედვით, უნდა იქნეს შეცნობილი (სათნობა არის ცოდნა, რის გამოც მეფეები უნდა იყვნენ ფილოსოფოსები). სიკეთის იდეა აშკარად სინონიმურია სამართლიანობისა, პლატონური გაგებით. ფორმულირებასა და მსჯელობაში ძლიერი გადახრების მიუხედავად, პლატონის ძირითადი შეხედულებები საკმაოდ თანამედროვეა: სიკეთის იდეა შეესაბამება სამართლის ძირითად კანონს და თავის თავში მოიცავს სამართლიანობას, ისევე როგორც საერთო სიკეთეს. თუმცა, სამართლიანობის ზუსტი განმარტება შეიცვალა პოლიტიკას დროიდან; გვიანდელ ნომოსში ის აღარ განსაზღვრავს მას როგორც თანასწორობას, პირიქით, უფრო წესიერი ადამიანები უნდა სარგებლობდნენ უმაღლესი უფლებებით, ანუ კიდევ ერთი თანამედროვე ტრანსფორმაცია, ფასეულობის იდეის თვალსაზრისით.



ცოდნა უსარგებლოა, თუ მორალურ სათნოებებს და სამართლებრივ ვალდებულებებს შეეწრევთ, შემდეგ კი აღვიქვამთ მათ სამართლიანობის ზოგად სათნოებად. ასევე გაუგებარია შეხედულება, რომ ცალკეული სათნოებები სამართლიანობიდან გამომდინარეობს. თავად პლატონი სამართლიანობას განსაზღვრავდა, როგორც ბუნების მიერ თითოეულ პიროვნებაზე და თითოეულ სოციალურ კლასზე დაკისრებული საკუთარი მოვალეობების შესრულებას (Der Staat IV 433 A), უარყოფდა რა სამართლიანობის ცნებას, როგორც შურისძიებას სიკეთისა და ბოროტებისთვის (I 332 D), თუმცა შურისძიების იდეამდე სამართლიანობის ამ სპეციალიზაციაში ჩვენ შევიცნობთ იმ არსებით შედეგს, რომელიც განასხვავებს მას სხვა სათნოებებისგან.

მომდევნო პერიოდში არისტოტელემ სამართლიანობა კიდევ უფრო განაზოგადა სათნოების ყოვლისმომცველ ვალდებულებად, მაშინ, როცა დიდმა სისტემატიკოსმა დასაბამი მისცა სპეციალიზაციას აქტუალურ სოციალურ მეცნიერებებში (Nik. Eth. II 5, 1106 a; V 3, 1130 a). პატრისტიკა და სქოლასტიკა განაგრძობდა განზოგადების ტენდენციას, წარმოაჩინდა რა სამართლიანობას უმაღლესი სიკეთის ან ღმერთისადმი სიყვარულის თვალსაზრისით, მაშინ, როცა თომასთან ზოგადი საუკეთესოსკენ სწრაფვა, ანუ სპეციალიზაცია, უკვე საკმაოდ მკაფიოდ გამოიხატა<sup>2</sup>. მიუხედავად იმისა, რომ განმანათლებლობის (გროციუსი) ბუნებითი სამართალი ცდილობდა, განესხვავებინა სამართალი და მორალი (რელიგია), განზოგადება გაგრძელდა ლაიბნიცთან, მაგრამ პირიქით, რადგან, თომასგან განსხვავებით, მან დაუქვემდებარა იურისპრუდენცია თეოლოგიას, რომელიც შემდეგნაირად დაყო: *jurisprudencia divina, humana* და *civilis*; მისთვის სამართლიანობა არის *caritas sapientis*, უმაღლესი სათნოება, რომელიც მიმართავს სიყვარულს საერთო სიკეთის მიზნებისკენ<sup>3</sup>. ამრიგად, აქაც, ალბათ, მხოლოდ სოციალური ცხოვრების არაცნობიერი სპეციალიზაცია გამოდის წინ.

უნდა დავეთანხმოთ სამართლიანობის განზოგადებას უმაღლეს სათნოებამდე; შემდგომი განზოგადება უმაღლეს მნიშვნელობამდე, ზოგადად, უნდა შეიზღუდოს (ზემოთ 7). თუმცა სამართლიანობის გარდა სხვა სათნოებებიც უნდა იქნეს აღიარებული, რომლებიც სრულიად დამოუკიდებლად არსებობს; შეხედულება, რომ ისინი მომდინარეობს ზოგადი სამართლიანობიდან, მცდარია. პირიქით, ისინი გვთავაზობს მორალური და სოციალური ცხოვრების კონკრეტულ შინაარსს; ისინი ავსებს აბსტრაქტულ სამართლიანობას სიცოცხლით სავსე შინაარსით. მოყვასის სიყვარულისა და თანაგრძნობისთვის ეს თავისთავად ნათელია. ამ განსაკუთრებულ ფასეულობებთან მიმართებით სამართლიანობას, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული

2. Augustin, Sermo 126, Kap. 3 bei Migne, Patrol. lat. 38 S. 700 (რაც ღმერთს სურს, არის თავად სამართლიანობა). – Thomas Aquin. Summa Theol 1 a, quaest. 21, Art 1 ad 2 (ღმერთს არ შეიძლება სურდეს სხვა რამ, გარდა იმისა, რასაც სიბრძნის წესი მოითხოვს, ეს იგივეა, რაც სამართლიანობის კანონი). დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ Del Vecchio § 4.

3. Leibniz, Nova methodus discendae docendaeque jurisprudentiae 1667 II § 14.

(6), აქვს შემზღვეველი ფუნქცია: მოყვასის სიყვარული და თანაგრძნობა აკვებს ინდივიდუალურ ცხოვრებას მდიდარი შინაარსით და შთააგონებს მას უმაღლესი მიღწევებისკენ, მაგრამ ის „გამართლებულია“ მხოლოდ იმ საზღვრამდე, რომელსაც სამართლიანობა ადგენს, სადაც ზიანი ადგება სხვებს და საერთო სიკეთეს.

თუმცა ჭეშმარიტებას იგივე პოზიცია უჭირავს, რაც სიყვარულს; ეს ჯერ კიდევ მოითხოვს განსაკუთრებულ მტკიცებულებას, რადგან ჭეშმარიტების სატნობა შეიძლება გამომდინარეობდეს ჭეშმარიტების იდეის აბსოლუტური მართებულობიდან (ზემოთ 6) და ანიჭებდეს მას უპირობო ძალაუფლებას, თუნდაც სამართლიანობასთან მიმართებით, რომელიც მაინც მეორეხარისხოვანია ჭეშმარიტებასთან შედარებით. არსებობს ტყუილის ართქმის ვალდებულება, მაგრამ არ არსებობს სიმართლის თქმის ვალდებულება ან სულაც უფლება. უფრო მეტიც, კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებები ზოგჯერ იწვევს გადახრებს (მესამე პირების არსებობა, ავადმყოფებისა და გაჭირვებულების დაცვა, შეუფერებელი ადგილმდებარეობა, გასაჭირი, გადაუდებელი აუცილებლობა მონაწილეებისა და საზოგადოებისთვის, ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად უფრო მარტივი საშუალებების შესაძლებლობა, ვიდრე ჭეშმარიტების გამჟღავნება არაპროფესიონალი და არაკვალიფიციური პირების მიერ და ა.შ.). სამართლიანობა, საერთო სიკეთეზე თავისი თანდაყოლილი ზრუნვით, ყოველთვის ადგენს საზღვრებს, რომლებიც აუცილებელია ცალკეულ შემთხვევებში, რათა შეასრულოს თავისი თანდაყოლილი ვალდებულება ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით.

## 9. სამართლიანობის ფორმირება წესების სახით

სამართლიანობა დგას ცხოვრებაზე მაღლა, რომელიც სავსეა უსამართლობით. ეს უსამართლობა უნდა გადაილახოს სამართლიანობის განხორციელებით, რაც ადამიანის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ყველას (ყოველ შემთხვევაში, ნორმალურ ადამიანს) შეუძლია ეს იმდენად, რამდენადაც სიყვარულის გამოვლინება და ადამიანის მთავარი ამოცანის დადებითი მხარის ფასეულობების შექმნა, მაშინ, როცა სამართლიანობა აქაც აჩვენებს მის უპირატესად უარყოფით (შემზღვევ) ხასიათს. სამართლიანობის იდეალები ცხოვრობს ყველა ადამიანის სულში, იქნება ის მაღალი თუ დაბალი, მდიდარი თუ ღარიბი, მაგრამ ნათელი ეფინება სხვადასხვა ხარისხით. ასე რომ, ერთს უადვილდება, ხოლო მეორეს უფრო ურთულდება სამართლიანობის განხორციელება. სამართლიანობას, ისევე როგორც ჭეშმარიტებას და სილამაზეს, აქვს ისეთი აბსტრაქტული და ზოგადი ბუნება, რომ მხოლოდ გენიოსის ინტუიციურ თვალს შეუძლია გამოიყენოს ის დარწმუნების ნებისმიერი ხარისხით, ცხოვრების კონკრეტული, ინდივიდუალური პირობების მიმართ. რამდენად ხშირად გვესმის პრეტენზია იმის შესახებ, რომ ყოველთვის გვასწავლიან და გვთხოვენ გავაკეთოთ მხოლოდ ის, რაც კარგი და სამართლიანია, მაგრამ არ ვიცით, რა არის ეს თითოეულ ცალკეულ

შემთხვევაში. ხალხმა უნდა იცოდეს ჭეშმარიტება და ილაპარაკოს ჭეშმარიტება, მაგრამ შეხედულებები ამის შესახებ ძალიან განსხვავდება. ეს არაფრით განსხვავდება იმისგან, თითქოსდა ხელოვნების მიმართულებები ვერ შეთანხმდა სილამაზის ბუნებაზე, როგორც ხელოვნების იდეაზე, ან პოლიტიკური პარტიები ვერ შეთანხმდნენ საერთო სიკეთეზე ცხოვრების სადავო პირობებში; თითოეულ მათგანს სჯერა, რომ მათ შეუძლიათ იდეალის თავისებურად ამოცნობა და განხორციელება. დამახასიათებელია, რომ თითოეულ პარტიას თავის პროგრამაში შეაქვს ხალხის კეთილდღეობის საკითხი და ხშირად ისეთი ფრაზებიც, როგორცაა, სამართლიანობა და თავისუფლება და მათ შესრულებას მხოლოდ თავისთვის ითხოვს, სხვა პარტიას კი ამის შესაძლებლობას ართმევს. ჩაგრული ადამიანები, ისევე როგორც ჩაგრული ხალხი, ითხოვს მხოლოდ „სამართალსა და სამართლიანობას“. როგორია ისეთი იდეების პრაქტიკული გამოყენება, როგორცაა სამართლიანობა და საერთო სიკეთე, რომლებიც თუმცა საერთოა ყველა ადამიანისთვის, როგორც იდეები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ასევე აერთიანებთ სუბიექტური რწმენა, რომ მიზნისკენ ყველა მიდის სწორ გზაზე.

ამით აიხსნება იდეასა და ცხოვრებას შორის კონკრეტული ნორმების აუცილებლობა; ისინი ქმნიან ხიდს, რომლის პოვნა და გავლა შედარებით ადვილია. ასეთი რგოლია ათი მცნება და მორალური ცხოვრებისთვის საეკლესიო ნორმები, ხოლო სოციალური ცხოვრებისთვის – სახელმწიფო კანონები და სამართლებრივი ნორმები. ამ ცალკეული წესების კავშირს სამართლიანობის იდეასთან მრავალი მნიშვნელობა აქვს. სამართლიანობა წარმოადგენს საყოველთაოდ სავალდებულო მაგალითს ყველა სპეციალური კანონისთვის; ეს უკანასკნელი განმარტავს და ასაბუთებს საკუთარ თავს, როგორც სამართლიანობის მზის გამოსხივებას, როგორც აბსტრაქტული იდეის ტიპურ წარმონაქმნს, როგორც აბსოლუტური ძირითადი კანონის კონკრეტული ფორმირების ნორმებს, როგორც მარადიული ფასეულობების მიწიერ გამოვლინებებს. მეორე ფუნქცია არის ამ ნორმების თანაბარი გამოყენების გარანტია, ისე, რომ აზრთა სხვადასხვაობა თუმცა არ არის გამორიცხული, მაგრამ მნიშვნელოვნად მცირდება; ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება ცალკეული გადაწყვეტილებების უწყვეტობისა და სახელმწიფო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში უსაფრთხოების გარანტია.

შედეგი არის სოციალური ცხოვრების სამმხრივი სტრუქტურა. კენწეროში დგას სამართლიანობის იდეა; სულ დაბლა – ცხოვრების ფორმები, მათი მუდმივად ცვალებადი ინტერესებითა და საჭიროებებით; შუაში – მაკავშირებელი ცალკეული ნორმები. ამ სამგანზომილებიანი აზროვნების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ცალკეული ნორმები უფრო დეტალური ახსნისთვის მოითხოვს როგორც ზემოთ, ასევე ქვემოთ ხედვას: მათი ფასეულობითი შინაარსი შეიცნობა, ივსება და, შესაძლოა, სწორდება იდეის გათვალისწინებით, ხოლო მათი სიცოცხლისუნარიანობა საზრდოობს სოციალური ცხოვრების ინტერესებითა და

აუცილებლობებით. ამრიგად, ნორმა „არა კაც-ჰკლა“ შეიძლება დაირღვეს, თუ გარკვეული ცხოვრებისეული სიტუაცია (თავდაცვა, გადაუდებელი აუცილებლობა) მოითხოვს დაცვას, სამართლიანობისა და საერთო კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე. ამრიგად, სპეციალური ნორმა ცდილობს მხოლოდ ტიპური რიგითი შემთხვევების დარეგულირებას; ყოველთვის უნდა ველოდოთ განსაკუთრებულ ზღვრულ შემთხვევებს, რომლებიც განსხვავებულ გადაწყვეტას მოითხოვს. სპეციალური ნორმა ნამდვილად იძლევა შვებას, მაგრამ როგორც ნებისმიერი სქემა, ეს არის მხოლოდ უხეში განზოგადება, რომელიც საკმარისად არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ თავისებურებებს. ამიტომ ჯერ კიდევ საჭიროა საქმის სპეციფიკის გათვალისწინება და საერთო მართლმსაჯულებისთვის მიმართვა; მხოლოდ ის არის უტყუარი სტანდარტი, რომელიც არასოდეს დაგვალაღატებს, თუნდაც მის გამოყენებას კონკრეტულ შემთხვევაში ყოველთვის შეიძლება არ მოჰყვეს სრულიად ცალსახა შედეგები.

## 10. სამართლიანობა და სინდისი

სამართლიანობა, როგორც ყოვლისმომცველი სოციალური სათნოება, როგორც ჩანს, მხოლოდ სუსტად არის დაკავშირებული სინდისთან, რომელიც, თავის მხრივ, ცალკეული მორალური ნების თავდაპირველი ინსტანციაა და გარდა ამისა რელიგიას სთავაზობს სტანდარტს და გამოხატვის საშუალებას. ამიტომ კანტი სინდისს განსაზღვრავს, როგორც გონების თვითგანსჯად ზნეობრივ ძალას; როგორც ცნობიერებას, რომელიც თავად ვალდებულებაა; როგორც კანონს ჩვენში; როგორც შინაგანი სასამართლოს ცნობიერებას ადამიანში; *forum internum*-ს *forum divinum*-ის წარმომადგენლად (*Metaphysik der Sitten* 11 280, 242 ff. u. 6.). შესაბამისად, სამართლიანობა შეიძლება გავიგოთ, როგორც სინდისის განსაკუთრებული ფენომენი, როგორც ის უმაღლესი სათნოება სოციალურ საკითხებში, რომელსაც ზნეობრივი კანონი და, შესაბამისად, სინდისი გვთავაზობს.

თუმცა ეს არ არის სამართლიანობის ზუსტი და, ყოველ შემთხვევაში, ამომწურავი, მით უმეტეს, ობიექტური განმარტება. სინდისი მხოლოდ ინდივიდუალური ეთიკის სტანდარტია, რელიგია კი სუბიექტურად არის განსაზღვრული. ის შეიძლება ასევე ცდებოდეს (რა თქმა უნდა, სხვადასხვა გზით, კანტის მიხედვით) და უხვევდეს ობიექტური ფასეულობითი განსჯიდან, მაშინ, როცა სამართლიანობა უნდა ისწრაფოდეს ობიექტურისკენ და, შესაბამისად, მოითხოვს განსჯას, რომელიც მაქსიმალურად ობიექტურია, და ობიექტურ ინსტანციას. სამართლიანობის შეფასების საგანიც მაქსიმალურად ობიექტურად უნდა განისაზღვროს; მართალია, ცალკეული ინდივიდუალური ნება ასევე ექვემდებარება სამართლიანობის ობიექტურ შეფასებას, მაგრამ ის მაშინვე ფართოვდება ამ შეფასებაში ობიექტურ საგნად, იმდენად, რამდენადაც სამართლიანობის ობიექტური შეფასება მოითხოვს ამ სახის მოქმედებებს მოცემული ინდივიდუალური შეფასების საგ-

ნის საზღვრებს მიღმა, რათა შეძლოს მისი არსისთვის საჭირო განზოგადება. ყოველივე ამის შემდეგ, სამართლიანობა უნდა გავიგოთ მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით, რადგან მისი მოქმედების ძალა დაიკარგება, თუ ის შემოიფარგლება ცალკეული შემთხვევებით. ამ მხრივ შეიძლება მხოლოდ იმავე კანტზე მივუთითოთ, რომელიც თავის კატეგორიულ იმპერატივს ზოგადი კანონმდებლობის სტანდარტს ანიჭებს.

თუმცა სინდისთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება შესაძლებელია. მისი ობიექტურამდე გაფართოება ასევე შესაძლებელია და საჭიროც. სინდისი ემორჩილება არა მხოლოდ ადამიანის მორალურ და რელიგიურ ცალკეულ ნებას, არამედ კულტურის ყველა ფასეულობისკენ სწრაფვას. მხატვრული და სამეცნიერო შემოქმედება ასევე ექვემდებარება სინდისს, ისევე როგორც სამართლიანობის შეფასებას, მაგალითად, მხატვრულ და სამეცნიერო კრიტიკას. იგივე ეხება იურიდიულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობას, ასევე ტექნიკურ და სხვა კულტურულ, მაგ., სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურებას. მათი შესრულებისას შემოქმედი ადამიანი ეკითხება საკუთარ თავს, შეასრულა თუ არა მან თავისი ამოცანა „კეთილსინდისიერად“, შეასრულა თუ არა თავისი ვალდებულება, დაიხარჯა თუ არა ბოლომდე და ეჭვის შემთხვევაში ხშირად განიცდის მტანჯველ „სინანულს“, რაც მაშინაც კი არ უნდა შემსუბუქდეს, როცა „სამართლიანობის ობიექტური შეფასება“ მშვიდად იღებს ან თუნდაც ამართლებს მის ნებას და ქმედებებს. ამის მიხედვით, სინდისი მოქმედებს როგორც პირადი ხმა, როგორც თავად მსურველი და მოქმედი ადამიანის შეფასება, რომელიც ჩვეულებრივ ძლიერ ემოციური და, შესაბამისად, ასევე ხშირად „მცდარია“, ანუ იხრება ობიექტური შეფასებისგან, ძირითადად, მორალის კანონისა, რომელიც ზოგჯერ გამაფრთხილებელი, ზოგჯერ დამგმობი ხასიათისაა, მაგრამ ასევე ყოველი ძირითადი ფასეულობითი კანონისა, რომელშიც ადამიანს ზოგჯერ სჯერა, რომ ისმის ღვთაებრივი ნება. სინდისში ვლინდება აბსოლუტური, მარადიული ფასეულობები; მათი ობიექტურად გააზრება არის კულტურის ცალკეული სფეროების და, კერძოდ, მეცნიერების ამოცანა. სინდისი ხშირად არის პირველი ამოსავალი წერტილი და ანთებს პირველ ცეცხლს აბსოლუტური ფასეულობების და, შესაბამისად, სამართლიანობის შემდგომი განათებისთვის. ამიტომ ხშირად არის ღრმა შინაგანი კავშირი სინდისსა და სამართლიანობას შორის.

თუმცა, პირიქით, სამართლიანობის შეფასება უდიდეს სინდისიერებასაც გულისხმობს, ვინაიდან აუცილებელია ცხოვრებაში უმაღლესი, მარადიული ფასეულობების შენარჩუნება და, კიდევ უფრო აუცილებელია, მათი ცხოვრებაში განხორციელება, მათი რეალურ ცხოვრებაში გადატანა. ეს მოითხოვს უმაღლეს ძალისხმევას და ყველა არსებული ფასეულობის მობილიზებას. სწორედ ამიტომ ლაპარაკობს სინდისის ხმა ასე ხშირად და ასე ძლიერად და უკვე იძლევა ბიძგს, როცა ამოცანაა სწორი გადაწყვეტილების გამოტანა ან მეცნიერული პრობლემის

გადაჭრა, ან მხატვრული მიმართულების დაფასება. შემფასებელს უნდა ჰქონდეს ზნეობრივი სიწმინდის მაღალი ხარისხი, ანუ „კეთილსინდისიერება“, რათა კრიტიკულად გამოიკვლიოს და განიცადოს ეს უმაღლესი კულტურული ფასეულობები ახლობლებში და თავად გააცნობიეროს ისინი, ეს მარადიული ფასეულობები, რომლებიც განმარტებული უნდა იქნეს, როგორც ღვთაებრივი არსის გამოვლინება. თუმცა სამართლიანობა და ჭეშმარიტება უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც მარადიული ამოცანები, რომლებიც ვერასოდეს გადაიჭრება, ხოლო ღვთაების შემჩნევა მხოლოდ უსასრულოდ შორ მანძილზეა შესაძლებელი; მაგრამ სწორედ ამ მიზეზით არის აუცილებელი უმაღლესი მორალური ფასეულობები, როდესაც საქმე ეხება ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე მოძრაობას და მცირე მონაკვეთებით წინსვლას. რაც უფრო ზუსტად ასრულებს ადამიანი თავის კულტურულ ამოცანას, მით უფრო ხმამაღლა ჟღერს მასში სინდისის ხმა. სინდისი აღელვებს მას და მუდმივად მოუწოდებს, გახდეს მორალურად სუფთა და ღრმად შეაღწიოს კულტურასა და მარადისობაში. სინდისი ამგვარად იძენს შემოქმედებითი ძალის თვისებას, რომელიც არ ტოვებს შემოქმედს მარტოს, მისი თავდაპირველად ერთადერთი უარყოფითი და შემზღვეველი მნიშვნელობის მიღმა. მისთვის, ვისაც გამუდმებით ტანჯავს სინდისი, რა თქმა უნდა, ცხოვრება ადვილი არ არის; და მაინც, ცხოვრებაში უმაღლესი ბედნიერება გამაბედნიერებელ ტკივილშია<sup>4</sup>, რადგან ადამიანი გრძნობს, რომ უახლოვდება მარადიულ ფასეულობებს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში, ბევრად მაღლაა, ვიდრე ფაქტობრივი წარმატება სხვა ადამიანების თვალში, რომლებიც თავიანთი აღიარებით ასე ხშირად მხოლოდ საკუთარ პირად მიზნებს მისდევენ, ისევე როგორც უარყოფით ამშვიდებენ ისინი თავიანთ ბოროტ ნებას. სინდისი ინახავს კულტურული ფასეულობების ჩანასახს. სინდისი ხელს უწყობს ფაქტობრივად შემოქმედებითი ძალების გაშლას: ზნეობრივი სიწმინდე სუბიექტური ფასეულობიდან კულტურული გაშლის გზით გარდაიქმნება კულტურის ობიექტურ ფასეულობად, ჭეშმარიტებად, სამართლიანობად და სილამაზედ. მათში თავის ობიექტურ დაცემას პოულობს წმინდა მორალური სწრაფვა ფასეულობისკენ. „ნეტარ არიან წმინდანნი გულით, რამეთუ ისინი იხილავენ ღმერთს“.

ეს არის სინდისიდან ხედვა მომავლისკენ. და პირიქით, თუ სამართლიანობიდან უკან გავიხედავთ და განვითარების ხაზს მის საწყისამდე მივყვებით, მაშინ სინდისსაც გადავაწყდებით, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ სინდისს, არამედ ბევრ სხვა, განმსაზღვრელ ფაქტორსაც, რომელთაგან ზოგიერთი ნაწილობრივ უფრო ძლიერია, როგორცაა შემოქმედის ნება და შემოქმედებითი ძალა, ასევე ხელსაყრელი ინვესტირებისა და გარემო პირობები. მაგრამ სინდისი არის მნიშვნელოვან-

4. ეს დაკავშირებულია ხელოვნების კულტივირების „ტრაგიკულ აღზევებასთან“, მაგრამ განსხვავდება ავადმყოფობის „ტკივილის საგანმანათლებლო ძალისგან“ – რაზეც არაერთხელ მისაუბრია, შდრ., მაგალითად, ჩემი ავტობიოგრაფია: *Leben und Lehre* 1958 S. 54, 79.

ნი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ყოველთვის თან უნდა ახლდეს საუკეთესო შესრულებას. ამის მიხედვით, სამართლიანობა გვევლინება როგორც სინდისის გაშლა სოციალურში: როგორც სოციალურ ცხოვრებაში, ასევე უმაღლეს სოციალურ ფასეულობებში. სამართლიანობა არის სოციალურად ობიექტივირებული სინდისი. სამართლიანობა არის სოციალიზებული სინდისიერება (მორალი). სამართლიანობა არის ობიექტივირებული რელიგიურობა, რადგან სამართლიანობა არის ის უმაღლესი ფასეულობა სოციალურ ცხოვრებაში, რომელსაც ინდივიდუალურ ცხოვრებაში იკავებს მორალი და (იმიერზე გავრცელებით) რელიგია.

## 11. გაგება და შედარება, როგორც სამართლიანი

### მოწყობის წინაპირობა.

#### სამართლიანი ჩრიბია

ჩვენი ზემოაღნიშნული (თავი 9) ახსნა-განმარტების მიხედვით, სამართლიანობა უნდა იქნეს „გააზრებული“ არა როგორც აბსტრაქტული, უსიცოცხლო სიდიდე, რომელიც ბინადრობს მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში, არამედ როგორც კონკრეტული ცხოვრებისეული ფასეულობა, რადგან ის შეესაბამება ჩვენი წარმოდგენის უნარს და გვიახლოვდება, როგორც მოთხოვნა. ჩვენ გვესმის სამართლიანობა, როგორც ფუნქცია, როგორც ამოცანა და როგორც შესრულება. ის ჩვენთვის ხელმისაწვდომია თავისი არსით, როგორც სამართლიანობა, რომელიც უნდა განხორციელდეს და როგორც სამართლიანობა, რომელიც განხორციელდა უმაღლესი, სოციალური ფასეულობის გაგებით. ამრიგად, სამართლიანობაც ჩვენთვის გასაგები ხდება, როგორც მარადიული ფასეულობების ნაწილობრივი გამოვლინება და ემანაცია. ასე რომ, ჩვენ ასევე შეგვიძლია დავიჭიროთ ღვთაებრივის გაბრწყინება და მივიღოთ და აღვიქვათ ის, როგორც მუდმივი სიკეთე.

აუცილებელი გაგება ასევე უნდა გავრცელდეს იმ ელემენტებზე, რომლებთან მიმართებითაც გავაანალიზეთ სამართლიანობა ზემოთ (9). ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ცხოვრების პირობებს, რომლებიც სამართლიანად უნდა შეფასდეს და იქნეს განხილული. აქ აუცილებელია ყველა ჩართული მხარის ინტერესებისა და მოთხოვნილებების მიმართ ყველაზე დახვეწილი თანაგრძნობა იმ ინსტანციის მეშვეობით, რომელიც მოცემული შემთხვევის შესაფასებლად და განსახილველად მოწვეული. ამრიგად, ინსტანციას, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეძლოს და სურდეს შეფასების ობიექტის ჭეშმარიტად გაგება; ყველა სურვილი და საზრუნავი, ცხოვრების ყველა მიზანი და შესაძლო საშუალებები უნდა შეფასდეს და აიწონოს ერთმანეთთან მიმართებით, გარემო პირობების კონტექსტში. მაშინ განსახილველი სპეციალური წესები (ზემოთ 9) უნდა იქნეს „გააზრებული“, როგორც აბსტრაქტული წესები, როგორც უფრო ფართო სოციალური წყობის წევრები, ანუ, მაგალითად, კანონის დებულებები, როგორც სახელმწიფო მართლწესრიგის ნა-



წილი: კანონის მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება არ იყოს საკმარისად მკაფიო მისი ფორმულირების მიხედვით, უნდა განისაზღვროს განმარტებით და ამავედროულად უნდა აღმოიფხვრას წინააღმდეგობები, გამოსწორდეს ხარვეზები, ხოლო კანონები, რომლებიც ვერ გამოიყენება შეუფერხებლად, უნდა მომზადდეს გამოსაყენებლად. ყველაფერი ხდება სამართლიანობის იდეაზე მუდმივი ორიენტაციით, ზემოაღნიშნული სახით, რომელიც მაქსიმალურად კონკრეტულად უნდა იქნეს აღქმული. ამრიგად, ცხოვრების პირობები უნდა იქნეს გამოკვლევული ჭეშმარიტების უშუალო საგანზე, წესები – სამართლიანობის უშუალო საგანზე და შემდეგ მოყვანილი უნდა იქნეს შესაბამისობაში სამართლიანობის იდეასთან. საბოლოოდ, შედეგია სამართლიანობის კონკრეტიზაცია ცხოვრების რომელიმე მონაკვეთში, ამასთან დაკავშირებული სპეციალური წესების (სახელმწიფო კანონები და ა.შ.) სამართლიანი განმარტება და გამოყენება.

გაგება, რომელიც ყველგან არის ნავარაუდევი, ხშირად აყენებს მაღალ მოთხოვნებს, ცოდნას, თანაგრძნობას, კანონად აღიარებული ნორმატიული შინაარსის მტკიცე განხორციელებას, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა და მტრობისა. არსებითად მიღებულ კონკრეტულ წესს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეს განზოგადების შესაძლებლობა, ანუ შესაფერისი უნდა იყოს ყველა შემდგომ, მსგავს ცხოვრებისეულ სიტუაციაში სათანადო გამოყენებისთვის. კანტის გაგებით, ის უნდა უნდა წარმოადგენდეს ზოგადი კანონმდებლობის პრინციპს, რადგანაც სამართლიანობა უნდა გავიგოთ არა მხოლოდ ერთი (შესაძლოა ძალიან არანორმალური) ცალკეული შემთხვევისთვის, არამედ, ზოგადად, იმავე და მსგავსი შემთხვევებისთვისაც; აუტანელი იქნებოდა ცხოვრების უცვლელი სიტუაციების მუდმივი ცვლა. სამართლიანობა ასევე მოითხოვს უწყვეტობას, ერთგვაროვნებას, უნივერსალურობას, განზოგადების უნარს. ამიტომ, გაგება უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ კონკრეტულ ცალკეულ შემთხვევას, არამედ უფრო ფართო სივრცულ და დროულ ურთიერთკავშირს, უპირველეს ყოვლისა, უახლოეს წარსულსა და მოსალოდნელ მომავალს. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღწევა მიზანი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „სამართლიანი“: წარმოიქმნება სოციალური ფასეულობა, რომელიც ქმნის ჰარმონიულ მთლიანობას სხვა დაკავშირებულ სოციალურ ფასეულობებთან (საერთო სიკეთე, სამართლებრივი განსაზღვრულობა).

მეტ-ნაკლებად დიდი სოციალური მთლიანობის (თემი, დიდი ასოციაციები) ასეთი ყოვლისმომცველი განხილვა ამავედროულად შესაძლებელს ხდის ამ მთლიანობაში ნებისმიერი ხარვეზისა და შეცდომის კომპენსირებას, რასაც ვერ შეძლებდა ცალკეული შემთხვევის წმინდა ინდივიდუალური განხილვა. ამით აიხსნება თავისებური დაკვირვება, რომელიც ზოგჯერ გვხვდება, მაგრამ კარგად არ არის განმარტებული, რომ სახელმწიფო კანონი შეიძლება იყოს ხარვეზიანი, მაგრამ მოსამართლემ შეიძლება მაინც მიაღწიოს სამართლიან შედეგს; ის აღმოფხვრის ხარვეზს აღნიშნული უფრო დიდი მთლიანობის ფარგლებში ან ჩაანაც-

ვლებს მას მთლიანობაში შეთავაზებული დადებითი ფასეულობით. ამიტომ, გასაგებია, თუ როგორ შეიძლება პარადოქსულად ამის გამოხატვა: რაც არ შეუძლია კანონმდებელს თავისი ყოვლისმომცველი ცოდნითა და უფრო სრულყოფილი დამხმარე საშუალებებით, ახერხებს ცალკეული პატარა მოხელე; დიდი კანონი შეიცავს უსამართლობას, ხოლო ამ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება შეიძლება (და უნდა) იყოს სამართლიანი. ცუდი მოსამართლეა ის, ვინც, თითქოსდა, ბოდიშს უხდის მხარეებს, რომ სხვა გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, რადგან კანონები ხარვეზიანია. კარგ მოსამართლეს გამოაქვს სამართლიანი გადაწყვეტილება, ცუდი კანონის მიუხედავად. ამავდროულად, კარგი მოსამართლე აღწევს კიდევ უფრო მაღალ სიკეთეს: ნორმა, რომელსაც მისი გადაწყვეტილება ეყრდნობა, სამაგალითო ხდება მომავალი სასამართლო პრაქტიკისთვის, განზოგადების უნარის გამო, ხდება პრეცედენტი მომავალი საქმეებისთვის და ამგვარად გამორიცხავს ამ ცუდ კანონს პრაქტიკულ შედეგში. არასამართლებრივი შეიძლება იყოს აუცილებლად სქემატური კანონები; მართებული და სამართლიანი უნდა იყოს კონკრეტული გადაწყვეტილება, რადგან ის (მისი ტენდენციის მიხედვით) უშუალო გავლენას ახდენს ცხოვრებაზე და გარდაქმნის ცხოვრებისეულ სიტუაციას. რა თქმა უნდა, კონკრეტულ გადაწყვეტილებებსაც აქვს ხარვეზები, სრულიად განსხვავებული ხარვეზები: ყველაფერი ადამიანის შემოქმედებაა; ამ მიმართებით, ყოველი გადაწყვეტილება ხარვეზიანია, სამართლიანობა კი მხოლოდ მარეგულირებელი იდეაა, აბსოლუტური ფასეულობა, რომელიც მუდმივად მიუღწეველია. ამ ზემოხსენებულ კონტექსტში მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ აბსტრაქტული ნორმები შეიძლება იყოს უმართებულო, ხოლო მოსამართლემ, რომელიც ვალდებულია დაიცვას ისინი, შეიძლება მიიღოს დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება, სამართლიანობის იდეის დახმარებით, საერთო სიკეთის შესაბამისად. ეს მოითხოვს სოციალური მთლიანობის მომწიფებულ, ყოვლისმომცველ გაგებას.

ამ მთლიანობის გათვალისწინებით, სამართლიანად შეიძლება შევაფასოთ რთული ობიექტები, რომელთა სრულიად მომწიფებული ცოდნა პროფესიონალის ძალებს აღემატება. დიდი სამეცნიერო ნაშრომიც კი სამართლიანად უნდა შეფასდეს კრიტიკისას, მაშინაც კი, თუ კრიტიკოსს არ შეუძლია მისი სრულად შეფასება, მეცნიერული თვალსაზრისით; იგივე შეინიშნება მაღალი ხელოვნების ნიმუშებთან დაკავშირებით. აქ კრიტიკოსი შედარებისთვის ეყრდნობა სხვა მონათესავე ნაშრომებს და შემდეგ მას შეუძლია ნაშრომების ფასეულობითი შინაარსის აწონდაწონა ერთმანეთთან მიმართებით, აღიარებს რა, რომ ერთ ნაშრომს მეორეზე მაღალი ფასეულობითი შინაარსი აქვს. იზოლირებული შეფასება შეუძლებელი ან, სულ მცირე, უკიდურესად რთული იქნებოდა, ვინაიდან ამჟამად რეალური ფასეულობების გაზომვა სრულიად შეუძლებელია; საკმარისია გავიხსენოთ ახალი გამოგონებები და აღმოჩენები ან ხელოვნების სრულიად ახალი მიმართულებების გაჩენა (ატონალური ან 12-ტონალური მუსიკა), რომელთა პერსპექტიულობის შეფასება შეუძლებელია. სამართლიანი კრიტიკოსი გონივრულად შეიკავებს თავს

ძირითადი პუნქტის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმისგან და შემოიფარგლება ცნობილ და გავრცელებულ ნაშრომებთან შედარებით, წარმოაჩენს რა გადახრებს და ხაზს უსვამს სიახლეს. შემდეგ ის „იაზრებს“ თავის ობიექტს სხვა ნაწარმოებებთან მიმართებით, ანუ უფრო დიდი მთლიანობის ფარგლებში და შეუძლია ამ მიმართებით სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა. სამართლიანი თვითკრიტიკის ძირითადად შეუმჩნეველი შესაძლებლობისთვის იხ. თავის 3 a. E. (შენიშვნა 1, Del Vecchio).

თუ რამდენად რთულია სამართლიანი მეცნიერული კრიტიკა, სხვა ასპექტში შეიძლება განვიხილოთ. უპირველეს ყოვლისა, კრიტიკოსი უნდა ესწრაფოდეს სამართლიანობას ავტორთან, მის ზრახვებთან და შესაძლებლობებთან მიმართებით; ისევე როგორც ხელოვნებაში, მართებულია მხოლოდ იმანენტური, არატრანსცენდენტური კრიტიკა. არ შეიძლება ავტორის გაკიცხვა, რომ მან ეს ამოცანა დაისახა და არა სხვა, რომლის დასახვაც მას არ სურდა ან არ შეეძლო, რომ მან დაწერა სიმფონია და არა ოპერა, რომ მან დაწერა კანონის კომენტარი და არა იურიდიული სისტემა, რომ მან ფსიქოლოგიურად განიხილა სოციალური ცხოვრების ობიექტი და არა სოციოლოგიურად, რომ მან განიხილა თავისი თემა შეზღუდულად, მაგრამ უფრო საფუძვლიანად და, პირიქით, არ გააფართოვა ის და არ წარმოადგინა მხოლოდ მისი ძირითადი მახასიათებლები ყველა მიმართულებით. ეს ყველაფერი დღესავით ნათელი უნდა იყოს; და მაინც, სერიოზულ და (იშვიათად) კეთილგანწყობილ კრიტიკოსებს შორის შეიძლება დავაკვირდეთ სამართლიანობის ამ ელემენტარული იმპერატიული ნორმების დარღვევას; უცნობია, ისინი ასე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ თუ გადამეტებული მნიშვნელოვნებიდან. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარდაუვალი პირობები, რომლებშიც შეიქმნა ნაწარმოები; ამ (ბუნებრივი და ფსიქო-სოციოლოგიური) წინაპირობების შესახებ მე ვისაუბრე ნაშრომში: *Persönlichkeit und Werk* 1931 (*Arch. f. Rechts- und Wirtschaftsphilosophie* Bd. 23/4). სამართლიანობა ასევე მოითხოვს იმ მძიმე პირობების გათვალისწინებას, რომლებშიც ავტორი იძულებული გახდა შეექმნა შემოქმედება ომისა და ომის შემდგომ პერიოდში; და მაინც, ისე ხშირად შეიძლება მოვისმინოთ საყვედური, რომ ის არ გაეცნო მნიშვნელოვან უცხოურ ლიტერატურას ან უკანასკნელ გადაწყვეტილებებს, მაშინაც კი, თუ ეს მასალები სრულიად მიუწვდომელი იყო ნაშრომის დამუშავებისას, რაც კრიტიკოსმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა. ნაცვლად ამისა, უპირანი იქნებოდა ავტორის შექება, რომ ის რთულ დროს ავითარებდა გერმანულ მეცნიერებას, თუმცა მცირედად, მაგრამ ხელს უწყობდა და აგრძელებდა მას ისე, რაც აშკარად ვერ შეძლეს ან არ სურდათ სხვებს. თუმცა აქ ცხადი ხდება, რომ ჭეშმარიტად სამართლიანი კრიტიკა უნდა იყოს არა მხოლოდ სუბიექტურ-იმანენტური, არამედ ობიექტურ-ტრანსცენდენტურიც; რადგან, საბოლოო ჯამში, შესაფასებელია, თუ რას მოუტანს ან რა შეიძლება მოუტანოს ნაშრომმა კულტურის შესაბამის სფეროს, მაშინაც კი, თუ ფაქტობრივი შეფასება ჯერ კიდევ არ არის. თუმცა ამ ჩარჩოში, როგორც ზე-



მოდის აღვნიშნეთ, უწყვეტობის, ერთგვაროვნებისა და ზოგადი სამართლიანობის შესანარჩუნებლად, სხვა დაკავშირებული ნაშრომებიც ასევე უნდა შეფასდეს შედარებისთვის, რათა ერთი შეფასება არ იყოს ზედმეტად მკაცრი, სხვა შეფასებები – ზედმეტად რბილი.

ეს სამართლიანი მასწავლებელი, რომელმაც უნდა შეაფასოს 30 საკლასო ნაშრომი, ჯერ მიზანმიმართულად კითხულობს 5 ნაშრომს, რათა დადგინდეს დონე, სავარაუდო საშუალო დონე და მხოლოდ ამის შემდეგ ანიჭებს ნიშანს თითოეულ ცალკეულ ნაშრომს და ადარებს ამ რიცხვებს ერთმანეთს თითოეული ნაშრომის ღირებულების შესაბამისად. ცუდი (და უსამართლო) მასწავლებელი, საკმაოდ მოხერხებულად აფასებს პირველ წაკითხულ ნაშრომს, შესაძლოა იდეალური ტიპის მიხედვით, რომელიც მას მხედველობაში აქვს, ან ინდივიდუალური მინიმალური მოთხოვნების კონცეფციის მიხედვით, ხოლო შემდეგ დაუყოვნებლივ განსაზღვრავს ნიშანს მეორე ნაშრომისთვის, პირველთან შედარებით და ალბათ მხოლოდ მეხუთე ნაშრომის წაკითხვის შემდეგ ამჩნევს, რომ მან ან ძალიან მკაცრად, ან ზედმეტად რბილად შეაფასა, თუმცა, არ ცვლის პირველი რამდენიმე ნაშრომის ნიშნებს. უსამართლო შედეგი არის სხვა სტანდარტებით შეფასება; შესაძლოა მრავალჯერადი ცვლილებაც კი მოხდეს გასწორების დროს. მიზეზი, როგორც წესი, არის მოსახერხებლობა: მასწავლებელი ჩქარობს და ამიტომ არ სურს ნაშრომების პირველი ნაწილის ორჯერ წაკითხვა, როგორც ეს აუცილებელია დონის დასადგენად.

ცხოვრებისა და იმ ადამიანების ქმედებების უსამართლობის კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, რომლებსაც ხშირად არ აქვთ საუკეთესო შესაძლებლობები, უფრო ხშირად კი – საუკეთესო ნება, შევხებით კიდევ რამდენიმე შესაძლებლობას და შემთხვევას, რომელიც საერთო ინტერესს იწვევს.

სამწუხაროდ, უსამართლო გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი მთავარი სფერო სასამართლო სისტემაა: ყველა მოსამართლემ, განსაკუთრებით კი საუკეთესოებმა, ძალიან კარგად იციან, რამდენი მათ მიერ მათი ცოდნისა და სინდისის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება ვერ გაუძლებს სამართლიანობის კრიტიკას და რომ სააპელაციო სასამართლოებს არ შეუძლიათ ზიანის გამოსწორება. ომამდელი პერიოდის სისხლის სამართლის საქმეებში დაცვის მხარის ადვოკატების მდიდარი პრაქტიკის კრებული მოცემულია ორი პატივცემული ყოფილი ადვოკატის, მამროთისა და ალსბერგის მიერ. შდრ. ქვემოთ II 4, 5, 15, აგრეთვე, ზემოთ I 7.

ხშირად შეიძლება დადასტურდეს ისტორიკოსების უსამართლობა, რომლებიც ამაცობენ „ფაქტების მკაცრად ობიექტური წარმოდგენით“ და აცხადებენ, რომ აღემატებიან სუბიექტურ შეფასებებს. ასე, მაგალითად, რანკეს თქმით, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გერმანელი მმართველი, იმპერატორი ფრიდრიხ II,

სამხრეთ იტალიური სამაგალითო სახელმწიფოს შემქმნელი და პირველი თანამედროვე ადამიანი, ოდესღაც აღიქმებოდა გერმანიის იმპერიის მესაფლავედ, რადგან თავს იტალიელად გრძნობდა, გერმანია მიწების მმართველებს დაუტოვა, რითაც საფუძველი ჩაუყარა პარტიკულარიზმს და დააგვიანა ორიენტაცია აღმოსავლეთისკენ. ეს შეფასება განსაკუთრებით უსამართლოა, რადგან სამხრეთით, ხმელთაშუა ზღვისკენ, როგორც იმდროინდელი მსოფლიოს მთავარი არტერიისკენ გადაადგილების ტენდენცია, სიცილიაზე ნორმალური მემკვიდრეობის მართვა და ძლევამოსილ პაპებთან ტოლერანტული საგარეო ურთიერთობა უნდა ყოფილიყო გერმანელი მმართველების მთავარი საზრუნავი<sup>5</sup>. მაქს ვებერი, რომელიც თავის იდეალს ხედავს ობიექტურ, ყოვლისმომცველ, „ფასეულობისგან თავისუფალ“ მეცნიერებაში, მიდის ისეთ გაუგებარ ცალმხრივ მიზეზობრივ განსჯამდე, როგორც არის კალვინიზმის მნიშვნელობა დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკური აღზევებისთვის, მაშინ, როცა ძირითადი მიზეზები იყო მათი გეოგრაფიული მდებარეობა ოკეანესთან და მათი ეკონომიკური ექსპანსია საზღვაო ძალად. ცენტრალური ევროპის დიდი კულტურების ურთიერთობა ვებერის მიერ ხაზგასმულ ლუთერანულ აღმსარებლობასთან ასევე ძალიან სუსტია; ამის წინააღმდეგ უკვე საუბრობს კათოლიკური ავსტრიის, ასევე იტალიისა და ესპანეთის მაღალი კულტურა. აშკარა არასწორი განსჯა, რომელიც არ აკმაყოფილებს არც სამართლიანობას და არც მის წინაპირობას, სიმართლეს, ხშირად ხდება მაშინ, როდესაც ისტორიკოსი, გახარებული აღმოჩენით, ხაზს უსვამს მხოლოდ ერთ, აქამდე უგულებელყოფილ მიზეზობრივ კავშირს, მაშინ, როცა ბევრია და ისინი განსხვავებული სიძლიერისა და მნიშვნელობისაა. ძნელად გასაგებია, როცა აქებენ სამართლის ისტორიკოსის, ჰაინრიხ ბრუნერის აღმოჩენას, რომ გერმანული ფეოდალური სისტემა შეიძლება აიხსნას, როგორც დაცვა არაბული კავალერიისგან. ისტორიკოსისა და სოციოლოგის მიზეზობრივმა აზროვნებამ უნდა გაარკვიოს და ამოწუროს ყველა მიზეზი, ამ მიზეზების კავშირები და გრადაციები; მაგრამ ეს ხშირად არ ხდება და შედეგი არის არასწორი შეფასება, რადგანაც ვერ კმაყოფილდება ყველა წინაპირობა. ცალმხრივი იყო ჰუგო გროციუსის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მამად განდიდება; მაგრამ ასევე შეცდომაა, რაც ახლა ხდება (ფერდროსი, ვეგნერი, შტადტმიულერი და სხვები), მისი ღვაწლის დაკნინება ესპანური სქოლასტიკის სასარგებლოდ (ვიტორია, სუარესი). ცალმხრივი იყო ჩვენი თანამედროვე ციხეების სისტემის დაკავშირება მე-18 საუკუნის ჰოლანდიური სასჯელალსრულების დაწესებულებებთან (რ. ფ. ჰიპელი), მაშინ, როდესაც ბელგიის, იტალიისა და ჩრდილოეთ ამერიკის დაწესებულებებსაც ჰქონდათ გავლენა.

თუმცა, მაშინაც კი, თუ ისტორიული მიზეზები და ურთიერთკავშირები იდეალურად და ამომწურავად არის განსაზღვრული მთლიანობაში, ეს მაინც არაფერს

5. შდრ. ჩემი ნაშრომი: Wirklichkeit und Idealgestalt 1959 II.

ამბობს წარმოქმნის იურიდიულ მიზეზზე, რადგან ისტორიული იურისპრუდენცია ხშირად გამომდინარეობს ფაქტების სრული არასწორი შეფასებიდან. სამართლებრივი ინსტიტუტი და სამართლებრივი ნორმა იქმნება ან ნარჩუნდება არა იმიტომ, რომ ისინი ისტორიული განვითარებისა და აუცილებლობის შედეგია, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფო ორგანოებს მიზანშეწონილად და აუცილებლად ეჩვენებათ ინტერესებისა და სამართლებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე, სახელმწიფო ამოცანების შესასრულებლად, საერთო სიკეთისა და სამართლიანობის გათვალისწინებით. ეჭვგარეშეა, ეს არის ყველაზე ცუდი, არასწორი განსჯა და სამართლიანობის დარღვევა, თუკი სამართლიანობა არ იქნება მიღებული როგორც სტანდარტი, არამედ ნაცვლად ამისა (და არა მხოლოდ: სხვათა შორის) ხდება ისტორიული ფესვების და მიზეზობრივი ურთიერთკავშირების გამოკვლევა, რაც შეიძლება იყოს სანაქებო ისტორიული ამოცანა, მაგრამ არ შეუძლია სამართლებრივი მიზეზისა და სამართლებრივი ფუნქციის გამოვლენა. სავინის სამართლის ისტორიული სკოლა საერთოდ არ ცნობდა ამ განსხვავებას ორ მიმართულებას შორის და, შესაბამისად, წარმოშვა არასწორი განსჯისა და უსამართლობის აშკარად შესამჩნევი ოდენობა. სავინის ისტორიული სამართალმცოდნეობის მიხედვით, სამართლის ჩამოყალიბებაში ვერასდროს იქნებოდა ახალი კანონები, ახალი შემოქმედება, პროგრესი, მაგრამ ყოველთვის იქნებოდა მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის განვითარება; სავინი კატეგორიულად უარყოფდა „კანონმდებლის პროფესიას“. უნდა მოვიყვანოთ ასეთი არასწორი განსჯის კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ახლახან იქნა განხილული ამ კონტექსტში<sup>6</sup>. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (§§ 932, 935) მკაცრად უპირისპირებს ერთმანეთს დაკარგული ქონების მიკვლევას და მინდობილი ქონების კეთილსინდისიერ შეძენას. ისტორიციისტული შეხედულების თანახმად, ეს ანტითეზა ღრმად არის ფესვგადგმული გერმანულ სამართლებრივ ცნობიერებაში და შემოწმებადია და ექვემდებარება ახსნა-განმარტებას წყაროების მითითებით; ფაქტობრივად, მინდობილი საგნების მიკვლევის შეუძლებლობა ეფუძნებოდა საპროცესო სამართლის ხარვეზს, ქონებრივი სარჩელის არარსებობას, რომელიც არ ეფუძნება სამართალდარღვევას. პრინციპში, ჩვენ კეთილსინდისიერი შეძენის დაცვას ვხსნით სამართლებრივი განსაზღვრულობის იმპერატივიდან და მოძრაობის აუცილებლობიდან გამომდინარე, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს გამონაკლისს მოპარული საგნების შემთხვევაში და ა.შ.; და ამ მოსაზრებებს აკმაყოფილებს ძველი გერმანული სამართლის ანტითეზა, რომელიც ამიტომ არის მიღებული და გათანამედროვეებული. ეს არის რაციონალური, ფუნქციური, იურიდიული ახსნა მაშინ, როცა ისტორიული განმარტება მოგვაგონებს სიტყვების ცნობილ ფილოლოგიურ განმარტებას, რომელიც, მაგალითად, მიუთითებს, თუ საიდან შეიძლებოდა გოეთეს ესესხებინა ფაუსტის ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა.

6. Heinrich Mitteis (München), Historismus und Rechtsgeschichte, in: Fest für Erich Kaufmann, 1950 S. 265.

მოგეხსენებათ, კულტურის დიდი და უდიდესი შემოქმედება რელიგიისა და ზნეობის, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროში სერიოზულ და უსერიოზულეს არასწორ განსჯას ექვემდებარებოდა. მოწამეები ილუპებიან ჯვარზე ან ცეცხლში, თავიანთი რწმენის გამო. სულგრძელი ზნეობრივი საქმეები არასწორად ფასდება, რადგან წმინდა კეთილსინდისიერებას მიუჩვეველი ადამიანები ყველგან ეგოიზმს გრძნობენ. ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუშები თავიდან თითქმის ყოველთვის არასწორად ფასდება ან უცნობია. „მათეს ვნებანი“ ცნობილი გახდა მხოლოდ მენდელსონის წყალობით, მეცხრე სიმფონია – მხოლოდ ვაგნერის წყალობით. ვაგნერი და ბრუკნერი წლების მანძილზე ელოდნენ პრემიერას. ბიზეს „კარმენი“ (1875 წელი), რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე ხშირად შესრულებული ოპერაა და რომლითაც ნიცშე აღფრთოვანებული იყო, უარყოფილი იქნა შემოქმედის სიცოცხლეში. გრილპარცერის დახვეწილი კომედია „ვაი მას, ვინც იტყუება“ (1840 წელი) იმდენად სასტიკად იქნა უარყოფილი, რომ მძიმედ შეურაცხყოფილი პოეტი (1791-1872 წლები) მთლიანად ჩამოშორდა საზოგადოებას, ხოლო თავისი შემდგომი ნაწარმოებები თავად არ გამოუცია. ისეთი ღია და თანამგრძობი არსება, როგორც გოეთე იყო, არ ამჟღავნებდა გაგებას კლასიციზმისა და შუბერტის მიმართ, ისე რომ ეს უკანასკნელნი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა პოეტების მეფის უარმა. ნიცშეს ბრწყინვალე პირველ ნაწარმოებს, „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ (1872 წელი), ამბიციური ფ. ვილამოვიც-მიოლენდორფი, წმინდა ფილოლოგიური თვალსაზრისით, ესთეტიკისა და შინაარსის ყოველგვარი გაგების გარეშე, დაუპირისპირდა, რაც მოგვიანებით ოსტატმა მწარედ აღიარა თავის მემუარებში (1928 წელი). გასაგებია, რომ ისეთი ნაწარმოებები, როგორც არის „წმინდა გონების კრიტიკა“, თავდაპირველად (გოეთეშიც კი) ნაკლებ გაგებას იწვევდა. თუმცა ძნელია იმის გაგება, რომ კანტის ნაშრომი რელიგიის შესახებ (1794 წელი) დაექვემდებარა სახელმწიფო აკრძალვას და რომ კენიგსბერგის პროფესორებმა ნებით მოაწერეს ხელი მთავრობის სასურველ უარს რელიგიის შესახებ კანტის შეხედულებებზე. მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, არ დაეკარგათ თანამდებობები, ვიდრე მხარი დაეჭირათ 70 წლის კოლეგისთვის, რომელმაც მოგვიანებით მიატოვა ლექციები. მათთვის ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჭეშმარიტების, მორალისა და სამართლიანობის მხარდაჭერა.

## 12. სამართლიანობა, როგორც ბალანსი

### ჯალბურულ სიხათიებს შორის

სამართლიანი შეფასებისთვის ზოგჯერ საჭიროა მრავალი კულტურული ფასეულობის შედარება სხვადასხვა სფეროდან და შემდეგ მათი აწონა საერთო სიკეთის შესაბამისად. საქონლის გაგზავნისას გასათვალისწინებელია, რომ სანაოსნო გზა უფრო იაფია, ვიდრე საავტომობილო, ეს უკანასკნელი კი რკინიგზაზე უფრო იაფია; ხოლო ახლა საჭიროა კონკრეტული გეგმის შემუშავება გასაგზავნად. მაგ-

რამ ამას შესაძლოა ხელი შეუშალოს უსწრაფესი და უსაფრთხო ტრანსპორტირების საჭიროებამ; ამის მიხედვით, ბოლო ადგილზე იქნება წყლის ტრანსპორტი, ხოლო უპირატესი, ალბათ, ავიატრანსპორტი, იმ პირობით, რომ არ იქნება მასთან დაკავშირებული სხვა დაბრკოლებები (მაგ., სივრცე, ჰავა, ამინდი, უსაფრთხოება, ფასი). ნებისმიერი რაციონალური ადმინისტრაციული პრაქტიკა, ნებისმიერი გონივრული ეკონომიკა ეფუძნება ასეთ მოსაზრებებს. თუმცა ახლა ისევ ჩნდება ეჭვები, ხომ არ აყენებს ზიანს ტრანსპორტის სახელმწიფო სახეობას – სარკინიგზო ტრანსპორტს – უპირატესი დამოკიდებულება საავტომობილო ტრანსპორტის მიმართ და შესაძლებელია თუ არა მისი ამჟამინდელი სახით შენარჩუნება საავტომობილო ტრანსპორტის მზარდი რაოდენობის გამო. ბოლო დროს ხშირად ისმის შეფასება, რომ სამართლიანობა (ან საერთო სიკეთე) მოითხოვს რკინიგზის მხარდაჭერას, რათა ის დარჩეს პროდუქტიული; თუ ახლა შეიზღუდება მატარებლების მოძრაობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი რენტაბელურობა საგზაო ტრანსპორტთან შედარებით, უფრო მეტი ადამიანი და საქონელი გადავა საგზაო ტრანსპორტზე (და შესაძლოა თვითმფრინავზეც) ნაკლები არჩევანის, მგზავრობის ხანგრძლივობის ან გადაჭედებების და სარკინიგზო ვაგონების უფრო სწრაფი ცვეთის გამო. თუმცა საბოლოო შედეგი სავსებით შესაძლებელია: სარკინიგზო ტრანსპორტი საერთოდ წყვეტს რენტაბელურობას, სულ მცირე, ზოგიერთ მოკლე და ერთლიანდაგიან მარშრუტებზე, ისე, რომ რეკომენდებულია ავტობუსების გამოყენება. გარდა ამისა, როლს თამაშობს ელექტრიფიკაციის საკითხი, ორთქლის ძრავის ნაცვლად. გარდა ამისა, საჭიროა მარშრუტების შეცვლა: თუ წარსულში უმოკლეს ან, მით უმეტეს, უსწრაფეს მარშრუტს ანიჭებდნენ უპირატესობას შორ მანძილზე გადაზიდვებისთვის, ახლა, შემოსავლის გაზრდის მიზნით, ირჩევენ შეხებას შეძლებისდაგვარად ბევრ დიდ ქალაქთან, გადატვირთული მოძრაობით. ყველა ეს მოსაზრება მეტყველებს იმაზე, რომ კულტურული სიკეთეებიც საჭიროებს ერთმანეთისგან დაცვას და საერთო სიკეთის თვალსაზრისით, „სამართლიანად“ მოპყრობას. საქონლისთვის სტანდარტი იგივეა, რაც ცალკეული პირებისა და ასოციაციების ქმედებებისთვის: პროდუქტიულობის მაქსიმალური ზრდა, ფართო საზოგადოების (ანუ საერთო სიკეთის) საჭიროებების დაკმაყოფილება, კონფლიქტების შესაბამისი დაბალანსება, ტვირთის თანაზომიერი დაბალანსება<sup>7</sup>.

სამართლიანობის პრინციპი შეიძლება ილუსტრაციული იქნეს საზოგადო საგზაო ცხოვრების ამ კონფლიქტური შემთხვევის მაგალითით, რომელიც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს და რომელიც დავის ორივე მხარის მოთხოვნით უნდა გადაწყდეს მუდამ ხსენებული „სამართლიანობის“ თვალსაზრისით. საუბარია ეკონომიკური და პოლიტიკური სიძნელების დროს უნივერსიტეტებისა და სხვა

7. ხაზგასმულია მემორანდუმში „ვეროპის რკინიგზის მდგომარეობა, სირთულეები, მიზეზები, აღდგენის შესაძლებლობები“. გამოქვეყნებული რკინიგზის საერთაშორისო ასოციაციის მიერ 1951 წელს (Deutsche Bundesbahn, Studienkonferenz-Nachrichten, Bielefeld 1951 Nr. 3 mit Forts.).



უმადლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების დაარსების ხშირად განხილვად, ძნელად გადაჭრად პრობლემაზე. სახელმწიფო ცდილობს მოსახლეობისთვის ახალი კულტურული სიკეთის გახსნას, რათა შეძლებისდაგვარად მოახდინოს გარე სიკეთეების დაკარგვის კომპენსირება. ასე, მაგალითად, რთულ პერიოდში დაარსდა უნივერსიტეტები ბერლინში 1810 წელს, ვროცლავში – 1811 წელს, ბონში – 1818 წელს და კელნსა და ჰამბურგში – 1919 წელს, წაგებული პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. რღვევამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშვა მსგავსი სურვილები; თუმცა გარემოებები ახლა ბევრად უფრო უთანასწორო იყო (საოკუპაციო ხელისუფლება, გარე ორგანიზაციის, ფულადი სახსრების, სივრცის, სამშენებლო მასალების, მასწავლებლების, ხელსაწყოებისა და წიგნების ნაკლებობა, რათა არ ყოფილიყო ჩამორჩენა უცხო ქვეყნებთან და ა.შ.). თუმცა ფრანგული ოკუპაციის ზონაში დაარსდა მაინცის უნივერსიტეტი; ეს ითვლებოდა „უსამართლოდ“ გისენის დანგრეული უნივერსიტეტის მიმართ, რომელიც გაუქმდა მის აღსადგენად საჭირო მოთხოვნილებებისა და სახსრების ნაკლებობის გამო. იმავდროულად, დასავლეთ გერმანია აქტიურად განიხილავდა აღმოსავლეთის უნივერსიტეტის დაარსებას, რომელიც აღმოსავლეთის დაკარგული უნივერსიტეტების კომპენსაციას და იქ კულტივირებული ტრადიციების გაგრძელებას მოახდენდა. ამის წინააღმდეგ კვლავ აჯანყდნენ კულტურის სხვა დარგების და ბოლოს ფინანსური ადმინისტრაციის წარმომადგენლები. უკვე წარმოდგენილი იყო ბამბერგში, რეგენსბურგში, ჰელმსტედტში, ვილჰელმსჰაფენში დაარსების გეგმები. კონფლიქტი გაღვივდა და ფუნდამენტური პრობლემები წარმოშვა: უნივერსიტეტებსა და ეკლესიებზე უფრო მნიშვნელოვანია დაწყებითი სკოლები, რომლებიც ჯერ კიდევ საკმარისი არაა; სკოლებსა და ეკლესიებზე უფრო მნიშვნელოვანია საავადმყოფოები და, რაც მთავარია, სახლები და პირველადი დანიშნულების საგნები. სწორედ აქ უნდა შუამავლობდეს და აბალანსებდეს სახელმწიფოს ხელმძღვანელობა. პარტიული შეხედულებები გამოიხატება პარლამენტებში, მაგრამ ისინი საკუთარი ტენდენციებია. მათზე მაღლა დგას სამართლიანობის პრინციპი.

ახლა ჩნდება ბოლო, ძნელად აღიარებული კითხვა: რა შეფასებას აძლევს სამართლიანობა ცალკეულ კულტურულ სიკეთეებს და რა თანმიმდევრობას იწვევს ეს? აქ ვხედავთ საინტერესო ფენომენს: კულტურულ სიკეთეს განსხვავებული რიგითობა აქვს თავად კულტურის თვალსაზრისით, ვიდრე სახელმწიფოებისა და ერების ცხოვრებისათვის.

A. კულტურისთვის ყველა კულტურული სიკეთე ითვლება თანაბრად ღირებულად და შეუცვლელად, იმ პირობით, რომ მათ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში მიიღეს საჭირო მაღალი ხარისხის სახე და სიწმინდე. თუმცა თანმიმდევრობა აუცილებელი მოთხოვნაა ხშირი კონფლიქტების გადასაჭრელად, როგორც ეს ზემოაღნიშნული მინიშნებებიდან ჩანს: ასევე გვინდა ვიცოდეთ, რამდენად მიუთითებს კულტურული სფეროს სიმაღლე და სიმწიფე ხალხისა და პიროვ-



ნების კულტურულ სტატუსზე. მთლიანობაში კულტურული ფასეულობის დონის შესაბამისად, შემდეგი გრადაცია უნდა წარმოიქმნას უმაღლესი კულტურული ფასეულობებიდან ყველაზე დაბალ ფასეულობებამდე.

1. რელიგია და მორალი. აქ მიეკუთვნება სამართალიც, იმდენად, რამდენადაც ის შეესაბამება სოციალურ და ეთიკურ საჭიროებებს, ე.ი. აკმაყოფილებს სამართლის იდეას, სამართლიანობას.

2. ხელოვნება და მეცნიერება.

3. შრომის კულტურა; (გარე) კულტურის ეს ყველაზე ვრცელი სფერო მოიცავს:

ა) სოციალურ საქმიანობას: იურიდიული დახმარება, პროფესიული საქმიანობა, ჯანდაცვა;

ბ) ეკონომიკას;

გ) ტექნოლოგიას და ტრანსპორტს.

B. სახელმწიფოსა და სახელმწიფოების ცხოვრებისთვის, კერძოდ, საერთაშორისო სამართლისთვის, ეს თანმიმდევრობა (A პუნქტში) თითქმის შებრუნებული ჩანს. სახელმწიფოს ხომ არ შეუძლია სულის უმაღლეს ფასეულობებსა და ყველაზე იდეალურ სულიერ სიკეთეებში ჩარევა და არც სჭირდება ეს, რადგან ისინი თავად რეგულირდება; ის უზრუნველყოფს მხოლოდ გარე საშუალებებს და დაცვას თავდასხმების შემთხვევაში. მხოლოდ დაცემისა და დაშლის შემთხვევაში არის საჭირო უფრო ღრმა ჩარევა, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ამას შეუძლია მხოლოდ შემდგომი დაცემის თავიდან აცილება. ადმინისტრაციული სამართლისთვის უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალურია, უპირველეს ყოვლისა, გარეგანი სასიცოცხლო საჭიროებები და მათი დაცვა. კერძოდ, საერთაშორისო სამართალი ეფუძნება ყველაზე პრიმიტიულ ურთიერთკავშირებს და აგებულია ყველაზე მარტივ, პრაქტიკულად მნიშვნელოვან სიკეთეებზე. მაღალ რეგიონებში სამართლის შევსება სულ უფრო მეტად ხდება კულტურის ხარჯზე, რის გამოც სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება ზედმეტი ხდება. ამრიგად, საერთაშორისო სამართლისთვის შეიძლება დადგინდეს შემდეგი თანმიმდევრობა, მნიშვნელობის მიხედვით; მიმოხილვა ასახავს კონტრასტს რეალურ კულტურულ თანმიმდევრობასთან (A პუნქტი ზემოთ).

1. შრომის კულტურა (საერთაშორისო სამართლის ყველაზე ფართო სფერო):

ა) ტექნიკური ტრანსპორტი (ფოსტა, რკინიგზა, საზღვაო, საჰაერო);

ბ) ეკონომიკა: ვაჭრობა, საბაჟო, მრეწველობა (ამ წრის ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო საერთაშორისო სამართალში), სოფლის მეურნეობა, საზომი და მონეტარული სისტემა;

გ) სოციალური საქმიანობა:

ჯანდაცვა, სიცოცხლის დაცვა, პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობა, მუშაკთა დაცვა, სამართლებრივი ურთიერთობების ხელშეწყობა და შესაძლებლობა.

2. მეცნიერების ფასეულობები, შემდეგ ხელოვნების ფასეულობები;

3. რელიგია და მორალურ-სოციალური ფასეულობები<sup>8</sup>.

ამრიგად, აშკარაა, რომ სამართლიანობა განსხვავებულად ახორციელებს თავის შეფასებებს, პასუხისმგებლობის სფეროდან გამომდინარე. პრაქტიკაში განსხვავება ვლინდება მაშინ, როდესაც ფასეულობების კონფლიქტის შემთხვევაში სახელმწიფო მოღვაწე ერთ სიკეთეს სხვანაირად აფასებს, ვიდრე ამას კულტურული თემი შეაფასებდა; მაგალითად, თუ ის რელიგიურ ფასეულობას ან სამეცნიერო ობიექტს დააყენებდა გარეგანი სიკეთის, სატრანსპორტო ინტერესის ან სამრეწველო პროდუქტის შემდეგ (მაგ., მაღალი სამხედრო ხარჯები!). მაშინ მას არ შეიძლება დაჰბრალდეს გარეგანი ინტერესებისთვის მეტი უპირატესობის უსამართლო მინიჭება, ვიდრე შინაგანი ფასეულობებისთვის; ასეთი ბრალდება უსამართლო იქნებოდა. მას თავად შეეძლო სამართლიანად მოქცეულიყო თავისი თემის თვალსაზრისით და თავისი პროფესიული ამოცანების შესრულებისას.

ამგვარად, ვიმედოვნებთ, რომ მცირედი წვლილი შევიტანეთ იმ რთული საკითხების გარკვევაში, რომლებშიც სამართლიანობის შეფასებები ერთმანეთსაა გადაჯაჭვული და ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ვნახეთ, რომ სამართლიანობას, რომელსაც ასე ხშირად და არასწორად სათნოებას ან სოციალურ ფასეულობას უწოდებენ, შეიძლება ჰქონდეს ყველაზე მრავალფეროვანი გამოვლინებები და წარმოქმნას ძალიან რთული პრობლემები ერთდროული გამოვლენისას. სამართლის ფილოსოფიასა და სოციალურ ფილოსოფიასაც აქვს თავისი „ანტინომიები“, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტას უკვე წმინდა თეორიის ფარგლებში.

## 13. ჰირალი და ზოგადი ჯათილდღეობის პარანა

### ნაონომიანურ პოლიტიანში თანასწორობის მეშვეობით

ჩვენს წინა განმარტებებში ახსნილია, რომ სამართლიანობა მოითხოვს პიროვნების ყურადღებას თემისთვის მისი ღირებულების შესაბამისად; ამგვარად, სამართლიანობაში კერძო და საზოგადოებრივი სიკეთე დაბალანსებულია. სამართლიანობა ასევე აბალანსებს თემის შიგნით ადამიანებისა და ადამიანთა ჯგუფების

8. ზემოაღნიშნული აღებულია ჩემი ნაშრომიდან „System des Völkerrechts“, 1952, § 20 IV. დასაცავი სიკეთეების ფასეულობების ცხრილი სისხლის სამართალში განსხვავებულია; შდრ. Syst. d. Strafr. Besond. Teil 1954

წინააღმდეგობრივ ინტერესებს. უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ანტითეზებს, რომლებიც სასწრაფოდ მოითხოვს ინტერესთა შემრიგებლურ ბალანსს, ასეთი ბალანსის პოვნა შეუძლია მხოლოდ სამართლიანობის საფუძველზე, როგორც საკითხში, ასევე ადამიანში; ყველა სხვა პრინციპი და მცდელობა წარუმატებელია, თუ ისინი არ არის დაფუძნებული სამართლიანობაზე. კულტურაში, ისევე როგორც მის ყველა დარგში, მათ შორის, ეთიკასა და სოციალურ პოლიტიკაში, საქმე ყოველთვის ადამიანზე მაღლა დგას, მაგრამ ადამიანი საუკეთესოდ და ყველაზე სამართლიანად განიხილება და ყველაზე სრულყოფილად კმაყოფილდება, როდესაც ის ემსახურება საქმეს, ანუ, როდესაც ადამიანი ეშვება საქმეში, ანუ, საერთო სიკეთეში. ეს ნაჩვენები უნდა იქნეს ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი მწვავე საკითხის მაგალითზე.

სახელმძღვანელო პრინციპია, რომ წარმოება უნდა გაფართოვდეს მაქსიმალურ ხარისხამდე, შეძლებისდაგვარად სწრაფად და იაფად, რაც შეიძლება ნაკლები ძალისხმევით და შემოსავლის სამართლიანი განაწილებით (რაც არის ყველაზე დიდი პრობლემა).

მეწარმემ საერთოდ არ უნდა გათვალისწინებდეს მოგებაზე<sup>9</sup>. მოგება დაუყოვნებლივ უნდა შეედინებოდეს საწარმოში, რათა გაზარდოს მისი პროდუქტიულობა და კიდევ უფრო შეამციროს ღირებულება, აგრეთვე, საწარმოში გამოყენებულ კაპიტალზე პროცენტის გადასახდელად, რათა დარჩეს ინვესტიციის გაკეთების სტიმული. თუ მოგება მიიღება, ის უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ საქონლის გასაუმჯობესებლად და ფასების შემდგომი შემცირებისთვის, მაგრამ არ უნდა ჩაედინებოდეს მეწარმეების ჯიბეებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნუვორიშები იპარპაშებდნენ მოსახლეობის ფართო ფენების ხარჯზე, რაც მით უფრო ეწინააღმდეგება სამართლიანობას, რადგან ეს ფართო ფენები უკვე დაზარალებულნი იყვნენ ინფლაციის შედეგად, არა საკუთარი ბრალეულობით და ახლა მათ აქვთ დასაბუთებული პრეტენზია დაბალ ფასებზე. ფასების ზრდა მათ კვლავ დააზარალებდა და, ალბათ, შეუძლებელს გახდიდა პირველადი მოხმარების საგნების შეძენას, რაც ესოდენ ადვილი იქნებოდა ნუვორიშებისთვის (რაც ადვილად დააკმაყოფილებდა მეწარმეებს). ამ საერთო სიკეთის შესაბამისი ეკონომიკური პროცესის აღიარებით, ხელფასის მომატებისთვის ბრძოლა თანდათან შემცირდება და ზედმეტი გახდება. ხელფასების სტაბილურობა, რასაც ეს განაპირობებს ფასების შემდგომი შემცირებისას, დადებითად აისახება წარმოებაზე. ნედლეულის დეფიციტის შემ-

9. შდრ. ამასთან დაკავშირებით: Hellmuth Krengel, *Gefährdete Lebensgrundlage des deutschen Volkes*. Schriftenreihe der Wirtschaftlichen Gesellschaft für Westfalen und Lippe, Heft XI, Bielefeld o. J. (1951), S. 42 ff. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ შეთავაზების მიზანშეწონილობა და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები აქ დეტალურად არ იქნება განხილული; ჩვენი ერთადერთი ამოცანაა, ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს სამართლიანობა და საერთო სიკეთე სოციალურ-პოლიტიკური ეკონომიკური პროგრამის ფარგლებში. იგივე მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვა გეგმებითაც, რომელთა განხორციელებაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი.

თხვევაში მეწარმეებმა ხელმისაწვდომი ნედლეული უნდა გამოიყენონ არა იმ საქონლის წარმოებისთვის, რომლიდანაც ისინი ყველაზე მეტ შემოსავალს ელიან, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროდუქტების წარმოებისთვის; მეწარმეთა ორგანიზაციამ მკაცრად უნდა დაიცვას სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანების სამართლიანი განაწილება; საჭიროების შემთხვევაში დავები უნდა გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს. დასაქმებულთა ცხოვრების დონე თავისთავად გაიზრდებოდა; პირადი კონტაქტისა და ეკონომიკური პროცესის გაცნობიერების წყალობით, რომელიც ორიენტირებულია მაქსიმალურ საერთო სიკეთეზე, დასაქმებულს არ ექნებოდა იმის შიში, რომ მისი სამუშაო ძალა ბოლომდე ექსპლუატირებული იქნებოდა; ის გაიაზრებდა, რომ მისი შრომა ემსახურება საერთო სიკეთეს, კულტურულ მთლიანობას, მთელ ერს და რომ სამართლიანად არის დაფასებული. დასაქმებულებს, ისევე როგორც დამსაქმებლებს, ამას უნდა ასწავლიდნენ სასწავლო კურსებზე. საზედამხედველო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მოთხოვნილი ვალდებულებების მკაცრად დაცვა.

კიდევ უფრო რთულია რეგულირება საერთაშორისო ცხოვრებაში. აქ განსაკუთრებით ცხადი ხდება, რომ იდეალური გადაწყვეტა საერთოდ შეუძლებელია, რომ მოსალოდნელია მხოლოდ „მეორეხარისხოვანი“ გადაწყვეტა. თუმცა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია, ზოგადად, მიჩნეულია აუცილებლად, რადგან მსოფლიო მშვიდობა, პირველ რიგში, მასზეა დამოკიდებული და რადგან გამოცდილება აჩვენებს, რომ ეკონომიკური სირთულეები ომების მთავარი მიზეზია. ამ შესახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფარგლებში, რომელიც მხოლოდ ზოგად ჩარჩოს უნდა წარმოადგენდეს, ახლა რეკომენდებულია, რომ ქვეყნებმა განახორციელონ ვაჭრობა მაქსიმალურად თავისუფლად, მაქსიმალურად შემცირებული საბაჟო გადასახადებით, მაგრამ დეფიციტის მქონე ქვეყნებისთვის სუბსიდიებით (შესაძლოა სესხების გაცემით); სამწუხაროდ, ზოგიერთი ქვეყნის წარმოების სიები იმდენად ცუდად არის შემუშავებული, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია. საერთაშორისო შოკებისგან ყველაზე მეტად დაცულია ამერიკის შეერთებული შტატები, ყველაზე მდიდარი ქვეყანა მსოფლიოში და, შესაბამისად, საუკეთესოდ შესაფერისი ინვესტირებისთვის და ობლიგაციების გამოსაშვებად. ყველაზე მეტად მოწყვლადი არიან მცირე და განუვითარებელი სახელმწიფოები, ისევე როგორც კულტურულად და ფიზიკურად სუსტი ადამიანები. ამრიგად, აქ სამართლიანობა მოითხოვს ბალანსს, რომელიც ასევე ყველაზე მკვეთრად შეესაბამება საერთო სიკეთესა და ხალხთა შორის მშვიდობას. ამჟამად, ასეთი ეკონომიკური კომპენსაციისთვის შეიძლება განხილული იქნეს 18 სახელმწიფო, ძალიან განსხვავებული ინტერესებითა და ასევე განსხვავებული კულტურული მახასიათებლებით. დეტალური ეკონომიკური ორგანიზაცია, რომლისთვისაც ხშირად იღვწიან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ განხორციელდეს უახლოეს მომავალში. სწორედ აქ უნდა დამყარდეს ახალი ავტომატური ჰარმონია, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა გასცდეს კომპრომისულ ჰარმონიას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. ამრიგად,

თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში, თავის მხრივ, ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ყველგან იხსნება ახალი პერსპექტივები და პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ნაცნობ, ფაქტობრივ პირობებთან.

## 14. დისტრიბუციული სამართლიანობა, როგორც მრავალჯერადი მადლი

ზემოაღნიშნულის თანახმად, არსებობს მხოლოდ ერთადერთი არსი, სამართლიანობის მხოლოდ ერთი ცნება; მხოლოდ ასეთი ერთიანი ფენომენის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სახეობა. ამასთან, ისევე და ისევე ახლდება სამართლიანობის მრავალი სახეობის, მათი არსისა და ცნების შესაბამისად დადგენის მცდელობები, როგორც ჯერ კიდევ არისტოტელე განასხვავებდა დისტრიბუციულ და კომპენსატორულ სამართლიანობას (ზემოთ, თავი 3 ა. E.). კერძოდ, კულტურული ცხოვრების ზოგიერთი ფენომენისთვის არსებობდა ზოგადი ტიპის განსაკუთრებული დისტრიბუციული სამართლიანობის აღიარების სურვილი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენს ზემოთ მოცემულ ცნებასთან. ამრიგად, (DEL VECCHIO § 11-ის თანახმად) უნდა არსებობდეს კონტრიბუციული სამართლიანობა, რომელიც მოითხოვს ტვირთის თანაბარ განაწილებას თითოეულის შესაძლებლობების მიხედვით, ისევე როგორც თითოეულის თანაბარ წილს, მისი საარსებო მოთხოვნილებების შესაბამისად.

ფაქტობრივად, აქ სხვა, ახალი სამართლიანობა არ არის საჭირო; უფრო მეტად, ეს წინა შეფასების ამოცანაა. მხოლოდ ინსტანცია (სახელმწიფო) აფასებს რამდენჯერმე ერთსა და იმავე კულტურულ პირობებს და ამ ცალკეული შეფასებების კომბინაციიდან ქმნის წესრიგს, რომლის ფარგლებშიც ყოველი კულტურული სიკეთე თავის ადგილს იკავებს. მაშინ წესრიგის ეს პრინციპი სამართლიანობად ითვლება; ამდენად, ზემოთ უკვე აღვწერეთ რამდენიმე მსგავსი ცხოვრებისეული სიტუაციისადმი მიდგომის უწყვეტობა და ერთგვაროვნება, როგორც ზოგადი სამართლიანობა. წესრიგის ეს პრინციპი ასევე ორიენტირებულია მთლიანობის ფასეულობაზე; აქაც არის ფასეულობების წესრიგი, რომელიც მოქმედებს ყველა სოციალურ პირობაში და მხოლოდ ცხოვრების შესაბამისი პირობების სპეციფიკიდან გამომდინარე იღებს სხვადასხვა ფორმას. ამრიგად, საქმე გვაქვს არა სამართლიანობის სხვადასხვა სახეობასთან, არამედ სხვადასხვა კულტურულ სფეროსთან, რომლისთვისაც ისტორიულ-სოციალურ ცხოვრებაში ჩამოყალიბდა წესრიგის განსხვავებული პრინციპები.

რთულ ცხოვრებისეულ პირობებში დავა წარმოიქმნება არა იმდენად თავად წესრიგის პრინციპის, არამედ მისი შენარჩუნებისა და გამოყენების შესახებ, რასაც,

შეცდომის შემთხვევაში, წარუმატებლობა ან უსამართლობა ეწოდება. განსაკუთრებულ დავებს იწვევს ეკონომიკური სიკეთეების წილი, ფლობისა და საკუთრების უფლება, შემოსავლის რეჟიმი, ტვირთის და გადასახადების განაწილება. სამართლიანობა აქ გამოიხატება მკაცრი ერთგვაროვნებითა და უწყვეტობით, განსაკუთრებით, პირებისა და ჯგუფების მიმართ რაიმე შეღავათიანი მოპყრობის დაუშვებლობაში: ყველას თანაბარი წილი უნდა ჰქონდეს ცხოვრებისეულ ფასეულობებში, მთლიანობისთვის მათი ღირებულების შესაბამისად, რაშიც ისევ გამოიხატება ინდივიდუალური სამართლიანობის ცნობილი პრინციპი სამართლებრივ-სოციალური წესრიგის ფარგლებში. თანაბარია ყველა პროფესია, რომელსაც წვლილი შეაქვს საერთო საქმეში და გარდაუვალია; მაგრამ ზოგადი საჭიროების დროს ნაკლებად მნიშვნელოვანი დარგები უკანა პლანზე გადადის და იძულებული არიან, შეეგუონ შემცირებას, რათა გადარჩეს მთლიანობა. მნიშვნელოვნება და გარდაუვალობა შეიძლება ისევ სადავო იყოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ (12); თავად პრინციპი მით უფრო წმინდა და მკაცრია განსახორციელებლად. სამართლიანობა მოითხოვს საერთო სიკეთის მაქსიმალურ შენარჩუნებას, განსაკუთრებით, სირთულეების დროს; კულტურის ხელშეწყობა თავისთავად გამოიყენება, მაგრამ კონფლიქტის შემთხვევაში ის შეიძლება შემცირდეს კულტურის შენარჩუნებამდე და სასიცოცხლო საჭიროებებამდე. ადამიანებისა და ხალხთა ძირითადი უფლებების განხორციელება, თავის მხრივ, სამართლიანობის იმპერატიული ნორმაა. ამრიგად, უდიდესი საჭიროების დროს იდეალური სიკეთეები შეიძლება უკანა პლანზე გადავიდეს ეკონომიკური არსებობის, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი არსებობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებასთან შედარებით; მხოლოდ მაშინ, როცა ისინი უზრუნველყოფილია, შემოდის იდეალური სიკეთეების მოთხოვნები, რომლებსაც, თავისთავად, თანაბარი უფლებები აქვს: მეცნიერება, ხელოვნება და რელიგია. ამასთან, ყოველთვის უნდა იყოს მხედველობაში მთლიანობის სიკეთე, რაც არ იძლევა საშუალებას, რომ ეს იდეალური ფასეულობები გაქრეს, თუ ამავდროულად არ ზარალდება ფიზიკური კეთილდღეობა და ცხოვრების ეკონომიკური სტანდარტი. ამ აშკარა მოთხოვნებიდან კვლავ ცხადია, რომ ახლა მთავარია ცხოვრებისეული სიკეთის სამართლიანი განაწილება მაქსიმალური შესაძლო ზრდის შესაბამისად და ნებისმიერ შემთხვევაში საერთო სიკეთის შენარჩუნება, თუნდაც დაზარალდეს ცალკეული ცხოვრებისეული ფასეულობები, რადგან ცალკეული ადამიანების სიცოცხლე უფრო ადრე ილუპება, ვიდრე სხვა შემთხვევაში (ანუ საერთო საჭიროების გარეშე). სამართლიანობა არის პრინციპი, რომელიც ექვის შემთხვევაში მოითხოვს შეფასებების მთელ რიგს, რომლებიც ჯერ უნდა შეთანხმდეს და ჰარმონიაში იქნეს მოყვანილი. არასწორი იქნებოდა ცალმხრივი მოთხოვნების წამოყენება, როგორცაა თანასწორი უფლებები ყველა ადამიანისთვის, საქმიანობის ყველა სფეროსთვის, ყველა პროფესიისთვის, ყველა კულტურული სიკეთისთვის. ყველა ადამიანის დასაბუთებული ძირითადი უფლებები შეესაბამება ძირითად ვალდებულებებს,

რომლებიც უნდა იქნეს დაცული და შესრულებული, თუ საუბარია სავარაუდო ძირითადი სიტყვების განაწილებაზე. კოორდინაცია ეფუძნება საერთო სიკეთის პრინციპს, ხოლო მისი განხორციელება ნიშნავს სამართლიანობას, როგორც უმაღლეს ფასეულობას სოციალურ ცხოვრებაში.

თანასწორობის მსგავსად, თავისუფლებაც ნაკლებად არის სამართლიანობის განმსაზღვრელი პრინციპი („სამართლიანობის ამ სავარაუდო სუროგატებისთვის“ იხილეთ თავი II 1 ქვემოთ), თუმცა თვითგამორკვევის თავისუფლება არის ძირითადი უფლება და ყველა მორალური ცხოვრების წინაპირობა. სამართლიანობა ასევე მოითხოვს ტოლერანტობას რელიგიურ საკითხებში, მათ შორის, ღვთისმსახურების თავისუფლებაში. ისტორიის განმავლობაში ტოლერანტობის იდეამ განიცადა სხვადასხვა ტრანსფორმაცია. თუმცა რელიგიათა თანასწორობა უნდა იყოს სამართლიანობის იმპერატიული ნორმა, რომლის მიხედვითაც, თავისთავად ცხადი პირობაა, რომ სოციალური მთლიანობა და ზოგადი კულტურა არ განიცდიდეს ზიანს რომელიმე აღმსარებლობითი მიმართულების გამო. ეს ჰარმონიული კოორდინაცია ასევე უნდა განხორციელდეს სამართლიანობის იდეით.

ეს მოსაზრებები აჩვენებს, რომ საკმარისი არ არის რამდენიმე პრინციპის უბრალოდ ერთმანეთის გვერდით დაყენება და მათი გათანაბრება, როგორც ეს ხშირად ხდება სამართალმცოდნეობასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში, ისევე როგორც სოციოლოგიაში, მაგალითად, ძირითადი უფლებების განხილვისას, როცა ერთმანეთის გვერდით ფიგურირებს არსებობა, თვითგამორკვევა, თავისუფლება, სამართლიანობა, ტოლერანტობა და თანასწორობა. ასევე არასწორია თავისუფლებისა და სამართლიანობის მოხსენიება სამართლისა და სახელმწიფოს ახალი კონცეფციის უმაღლეს პრინციპებად და მათი განხილვა ანტითეზებად. პირიქით, სოციალურ საკითხებში მხოლოდ ერთადერთი უმთავრესი პრინციპია სამართლიანობა. კონფლიქტებში ადგილი უნდა დაუთმოს მას ყველა სხვა „სოციალურმა იდეალმა“: თანასწორობამ, თავისუფლებამ, ტოლერანტობამ, თვითგამორკვევამ, არსებობამ. და აქ არ არის აუცილებელი ზოგადი გადაწყვეტილებების მიღება გარკვეული ტიპების შესაბამისად, არამედ სავარაუდო უმაღლესი პრინციპების გაანალიზება მათ ელემენტებად და მრავალი კონკრეტული ცალკეული გადაწყვეტილების აწონა სამართლიანობის იდეის შესაბამისად.

სამართლიანობის განხორციელების ყველაზე დიდი დაბრკოლებები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც შეუწყნარებლობას არა მარტო აკვირდებიან ცალკეული პირები, არამედ მათ ნაბრძანები აქვთ ეს უმაღლესი ხელისუფლებისგან, რომელიც თავად არის შეუწყნარებელი, ანუ ავტორიტარული, ავტოკრატიული წესრიგის სისტემისგან (სახელმწიფო, ეკლესია), რომელიც არ გამოხატავს ზოგად ნებას. უსამართლობის საფრთხე უკვე არსებობს, როცა უმაღლესი ხელისუფლება არ ეყრდნობა ზოგად ნებას, არამედ ცდილობს იძულებით განსაზღვროს ცალ-



კეული ადამიანების ნება, მათი თანხმობის გარეშე, ანუ ძალადობს მათზე. ფიხტეს თანახმად, მორალურ საკითხებში ნებისმიერი ბრძანება ამორალურია. ჩვენს აზროვნებაში სამართლიანობა არის უმაღლესი სოციალური ფასეულობა, საერთო სიკეთე; ამიტომ ანტისოციალური იძულება არის დაბრკოლება სამართლიანობისთვის, რადგან უმაღლესი ხელისუფლება ხელს უწყობს იმას, რაც ეწინააღმდეგება საერთო სიკეთეს. შეიძლება ვინმემ გააპროტესტოს: პრიმიტიულ ადამიანებს შეიძლება აიძულონ თავიანთი კეთილდღეობა, თუ ისინი ამას ვერ იაზრებენ; ამაზე პასუხია: კეთილდღეობის განცდა შესაძლებელია მხოლოდ პირადად, მიზეზისა და მიზნის გაუცნობიერებლადაც კი. წესრიგი შეიძლება იყოს სამართლიანი მხოლოდ მაშინ, როცა მას დიდი უმრავლესობა მიიღებს მისი ზოგადი ტენდენციებით, თუ არა ყველა დეტალით; სწორედ ამას მივყავართ სამართლებრივად მნიშვნელოვან ზოგად ნებამდე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)